

როგორ მოვემზადოთ
ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

სამოქალაქო განათლება

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
სამოქალაქო განათლების ჯგუფი

თბილისი

2025

სამოქალაქო განათლების ჯგუფი

@ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

სარჩევი

შესავალი	4
სამოქალაქო განათლების საგამოცდო მოთხოვნები _	7
შეფასების ძირითადი კრიტერიუმები	
ტესტური დავალებების აღწერილობა და ნიმუშები	10
რჩევები აბიტურიენტებს	41
ტესტის ნიმუში, შეფასების სქემა და პასუხების	42
ფურცელი	

შესავალი

კრებული შედგენილია მათთვის, ვინც ახარებს სამოქალაქო განათლების ერთიან ეროვნულ გამოცდას. კრებულში მოცემულია საგამოცდო მოთხოვნები_შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, ტესტურ დავალებათა ნიმუშები, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, საგამოცდო ტესტის, შეფასების სქემებისა და პასუხების ფურცლის ნიმუში. საგამოცდო მოთხოვნები ეფუძნება 2018-2024 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმას და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს.

ტესტის სტრუქტურისა და თითოეული ტესტური დავალების აღწერილობის წინასწარ გაცნობა აბიტურიენტს დაეხმარება გამოცდის უკეთ ჩაბარებაში. ტესტირების დროს საჭიროა დავალების ტექნიკური თუ შინაარსობრივი მოთხოვნების მაქსიმალური სიზუსტით დაცვა და პასუხების ფურცელზე დაკვირვებით მუშაობა.

წინამდებარე კრებულში შეტანილი ტესტური დავალებები მხოლოდ და მხოლოდ ნიმუშებია და არა უშუალოდ საგამოცდო ტესტის დავალებები. საგამოცდო ტესტის დავალებები ამ კრებულში შეტანილი დავალებების მსგავსი იქნება.

წინამდებარე კრებული დაგეხმარებათ, დამოუკიდებლად მოემზადოთ სამოქალაქო განათლების გამოცდისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

სამოქალაქო განათლების ერთიანი ეროვნული გამოცდის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები

სამოქალაქო განათლების საგამოცდო ტესტით მოწმდება:

- სამოქალაქო განათლების საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნა;
- სოციალურ-პოლიტიკური ცნებების, ტერმინების, კონცეფციებისა და სტრუქტურების ცოდნა და ადეკვატურად გამოყენება;
- სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი ინფორმაციის გააზრების, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი, წყაროს ანალიზი;
- მოვლენების უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე ანალიზი-შეფასება;
- სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესებისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებისა და მსგავსება-განსხვავებების დადგენა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების განსაზღვრა, შეფასება და კრიტიკული ანალიზი;
- საზოგადოებრივი პრობლემების გააზრება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა;
- პრობლემის გადაწყვეტის პროცესში დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფციების გამოყენება;
- სამოქალაქო პოზიციის შემუშავება, კრიტიკა, დაცვა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირება;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი, აზრის ლოგიკურად, თანმიმდევრულად, არგუმენტირებულად ჩამოყალიბება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სამოქალაქო განათლების ტესტის სტრუქტურა:

ტესტში მოცემული იქნება შემდეგი დავალებები:

- არჩევითპასუხებიანი დავალებები მაქსიმალური ქულა - 24);
- შესაბამისობის დადგენა (მაქსიმალური ქულა -2);
- შეცდომის გასწორება (მაქსიმალური ქულა -11);
- სასკოლო პროექტი (მაქსიმალური ქულა - 4);
- ილუსტრაციის ანალიზი (მაქსიმალური ქულა - 4);
- არგუმენტირებული მსჯელობა (მაქსიმალური ქულა - 4);
- წყაროს ანალიზი (მაქსიმალური ქულა -11).

ერთიანი ეროვნული გამოცდების სამოქალაქო განათლების ტესტის მაქსიმალური ქულაა 60, საგამოცდო დროის ხანგრძლივობა - 3 საათი და 10 წუთი.

აბიტურიენტს ზღვარი გადალახულად ჩაეთვლება, თუ დააგროვებს მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტს.

ტესტური დავალებების აღწერილობა
და ნიმუშები

არჩევითპასუხიანი დავალება

დავალების აღწერა - დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ თქვენ მიერ არჩეული სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის, ცნებებისა და ტერმინების ცოდნას, მოვლენათა დამახასიათებელი ნიშნებისა და განსხვავებების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარს. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

რა ეწოდება პიროვნებათა თუ პიროვნებათა ჯგუფის თანასწორობისა და ღირსების შელახვას ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნის მიხედვით?

- ა. სექსიზმი
- ბ. სუბორდინაცია
- გ. დისკრიმინაცია
- დ. დისკრედიტაცია

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 2

ჩამონათვალიდან რომელი სახელმწიფო ორგანოა დამოუკიდებელი და არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების არცერთ შტოს?

- ა. სახალხო დამცველი
- ბ. ფინანსთა სამინისტრო
- გ. საკონსტიტუციო სასამართლო
- დ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

სწორი პასუხი: ა

ნიმუში 3

მართებულია თუ არა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ქვემოთ მოყვანილი მსჯელობები?

- I. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი აზრისა და შეხედულების გამოთქმის უფლებას;
- II. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს ინფორმაციის მიღებისა და ხელმისაწვდომობის უფლებასაც;
- III. სიტყვის თავისუფლება ყოველთვის ყველაფრის თქმის უფლებას ნიშნავს.

- ა. მართებულია მხოლოდ I
- ბ. მართებულია II და III
- გ. მართებულია I და II
- დ. სამივე მართებულია

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 4

რომელია მართებული მსჯელობა რეფერენდუმსა და პლებისციტს შორის არსებულ განსხვავებაზე?

- I. რეფერენდუმის შედეგებს კანონის ძალა აქვს, ხოლო პლებისციტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათისაა.
- II. რეფერენდუმი ტარდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო პლებისციტი მოქალაქეთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფზეა გათვლილი.

- ა. მხოლოდ I
- ბ. მხოლოდ II
- გ. ორივე
- დ. არცერთი

სწორი პასუხი: ა

ნომერი 5

რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სიმბოლოა გამოსახული პოსტერზე?




- ა. ნატო
- ბ. გაერო
- გ. უნისეფი
- დ. ევროკავშირი

სწორი პასუხი: ა

ნომერი 6

სახელმწიფო ხელისუფლების რომელი შტოა გამოტოვებული მოცემული სქემის კითხვის ნიშნით აღნიშნულ უჯრედში?



- ა. მედია
- ბ. სამხედრო
- გ. სამართალდამცავი
- დ. სასამართლო

სწორი პასუხი: დ

ნიმუში 7

1572 წლის 24 აგვისტოს პარიზში, წმინდა ბართლომეს დღესასწაულის წინა დამეს განხორციელდა კათოლიკეების მიერ ჰუგენოტების მასობრივი ჟლეტა. რა ნიშნით განხორციელდა ადამიანთა დევნა?

- ა. ეთნიკური
- ბ. გენდერული
- გ. რელიგიური
- დ. რასობრივი

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 8

„ფიროსმანმა რომ სმას უმატა, მეგობარმა მხატვრებმა გადაწყვიტეს, რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაილუპებო. ფული შეაგროვეს, სარდაფი უყიდეს მთელი უძრავ-მოძრავით, ჩააბარეს და დაანამუსეს: - „ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნუ წახვალ, ისევ აქ დალიეო.“ (რევაზ ინანიშვილის მოთხრობიდან)

ჩამოთვლილთაგან რომელს უფრო შეესაბამება ეს მაგალითი?

- ა. თვითშეფასებას
- ბ. სოლიდარობას
- გ. პიროვნების იზოლაციას
- დ. პიროვნების დისკრედიტაციას

სწორი პასუხი: ბ

ნომერი 9

რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია გამოსახული რუკაზე ლურჯი ფერით?



- ა. გაერო
- ბ. ნატო
- გ. ევროსაბჭო
- დ. ევროკავშირი

სწორი პასუხი: დ

ნომერი 10

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული რომელი უფლების ილუსტრაციაა მოცემული პოსტერი?



- ა. თანასწორობა კანონის წინაშე
- ბ. პიროვნული განვითარების თავისუფლება
- გ. აზრის, სინდისის და რელიგიის გამოხატვის თავისუფლება
- დ. ქორწინების უფლება რასის, ეროვნების ან რელიგიის ნიშნით შეზღუდვის გარეშე

სწორი პასუხი: გ

ნიმუში 11

ყურადღებით წაიკითხეთ პასტორ მარტინ ნიმიოლერის ცნობილი სიტყვები:

„როცა ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირის წევრი არ ვყოფილვარ. კათოლიკებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“


რა არის ამ სიტყვების ძირითადი იდეა?

- ა. ნაცისტების მიერ სხვადასხვა სოციალური ჯგუფის განადგურების ფაქტის აღწერა;
- ბ. იმის დემონსტრირება, რომ სოციალურ ჯგუფებს არ ახასიათებთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა;
- გ. მოწოდება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას იმ სოციალური ჯგუფის უფლება, რომლის წევრიცაა;
- დ. იმის გაცნობიერება, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას სხვისი უფლება, რომ თავად იყო დაცული.

სწორი პასუხი: დ

ნომერი 12

ყურადღებით გაეცანით დიაგრამას, რომელიც ასახავს ქალისა და მამაკაცის ქცევას ოჯახში. კერძოდ, საოჯახო საქმიანობაში მათ ჩართულობას:




რომელი დასკვნა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

- ა. საოჯახო საქმიანობას მხოლოდ ქალები ასრულებენ;
- ბ. ჩვეულებრივ, გენდერული როლები ოჯახში მკვეთრადაა გამოიჯნული;
- გ. საოჯახო საქმიანობები თანაბრადაა განაწილებული ქალსა და მამაკაცს შორის;
- დ. საოჯახო საქმიანობას ოჯახში ძირითადად დაქირავებული პირი ასრულებს.

სწორი პასუხი: ბ

ნომერი 13

რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხს. გაეცანით რუკას და უპასუხეთ შეკითხვებს:



1. რომელი მსჯელობა არ შეესაბამება რუკის მონაცემებს?

პრესის თავისუფლების ინდექსი:

- ა. ინდოეთში უფრო მაღალია ვიდრე მექსიკაში;
- ბ. ბრაზილიაში უფრო დაბალია ვიდრე კანადაში;
- გ. იაპონიაში უფრო მაღალია ვიდრე ა.შ.შ.-ში;
- დ. იტალიაში უფრო მაღალია ვიდრე ისლანდიაში

სწორი პასუხი: დ

2. ქვეყნები დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობის მიხედვით. რომელი თანმიმდევრობა არ არის მართებული?

- ა. ირანი, თურქეთი გერმანია;
- ბ. კუბა, რუსეთი, დანია;
- გ. ყაზახეთი, ჩინეთი, შვეიცარია;
- დ. მექსიკა, შვედეთი, საუდის არაბეთი.

სწორი პასუხი: დ

3. რომელი მსჯელობაა მართებული?

I. სკანდინავიის ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში;

II. ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში პრესის თავისუფლების ხარისხი უფრო დაბალია, ვიდრე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ა. მართებულია მხოლოდ I

ბ. მართებულია მხოლოდ II

გ. ორივე მართებულია

დ. არცერთია მართებული

სწორი პასუხი: ა

შესაბამისობის დადგენა

დავალების აღწერა _ დავალება ცხრილის სახითაა მოცემული. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ცხრილის ორ სვეტში მოცემულ ინფორმაციას შორის. პასუხები იწერება პასუხების ფურცელში განთავსებულ ცხრილში. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მისი გამოყენების უნარს, ინფორმაციის კლასიფიცირების, მისი გარკვეული ნიშნით დაჯგუფების, განზოგადების, ინფორმაციათა შორის შესაბამისობის დამყარების, ინფორმაციის გაანალიზების უნარს. თითოეული დავალება 1 ან 2 ქულით ფასდება.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

- ეფექტური კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მოსმენის უნარის განვითარება. I სვეტში მოცემული მსმენელთა პასუხები მოსაუბრის გამონათქვამზე, შეუსაბამეთ II სვეტში მოცემულ პასუხის ტიპებს:

I	II
<p><i>მოსაუბრე: „ძალიან მიჭირს საქმეს თავი გავართვა, იმდენი რამ მაქვს მოსაწესრიგებელი, ხარისხიანად ვერაფერს ვაკეთებ“</i></p> <p><i>მსმენელთა პასუხი:</i></p> <p>ა. „შარშან ზუსტად ასე ვიყავი, ვარჯიში დავიწყე და თითქოს მეტი ენერგია გამიჩნდა. ასე საქმესაც უკეთ მოასწრებ;“</p> <p>ბ. „მესმის, სტრესულია, როდესაც ბევრი საქმე გაქვს და წესიერად ვერაფერს ასწრებ;“</p> <p>გ. „რას ამბობ, შენ ხომ ყოველთვის ისეთი ორგანიზებული ხარ. ალბათ გარშემომყოფები არ გაცლიან, რომ შენს საქმეს მიხედო;“</p> <p>დ. „მართლა? სამსახურის საქმეს გულისხმობ, თუ - სახლის?;“</p> <p>ე. „ნუ იტყვი. მეც ასე ვარ. ამ ყველაფერს დროის არასწორი განაწილება იწვევს.“</p>	<p>1. აქტიური მოსმენა</p> <p>2. ინტერპრეტაცია</p> <p>3. რჩევა</p>

სწორი პასუხი:

I	ა	ბ	გ	დ	ე
II	3	1	2	1	2

შეფასება: დავალება 2 ქულიანია. 5 სწორი პასუხი -2 ქულა, 4 სწორი პასუხი -1 ქულა, 3 და ნაკლები სწორი პასუხი -0 ქულა.

ნომერი 2

- სამოქალაქო ინიციატივები შეუსაბამეთ მათი განხორციელებისათვის საჭირო მოქალაქეთა რაოდენობას:

I	II
<p>ა. საკანონმდებლო ინიციატივა</p> <p>ბ. რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნა</p> <p>გ. პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება</p>	<p>1. არანაკლებ 300 ამომრჩეველი</p> <p>2. არანაკლებ 600 ამომრჩეველი</p> <p>3. არანაკლებ 25 000 ამომრჩეველი</p> <p>4. არანაკლებ 50 000 ამომრჩეველი</p> <p>5. არანაკლებ 100 000 ამომრჩეველი</p> <p>6. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი</p>


სწორი პასუხი:





I	ა	ბ	გ
II	3	6	1

შეფასება: დავალება 1 ქულიანია. 3 სწორი პასუხი - 1 ქულა, 3-ზე ნაკლები სწორი პასუხი - 0 ქულა.

ნომერი 3

- რუკა ასახავს მსოფლიო ქვეყნების ჰუმანური განვითარების 2011 წლის მონაცემებს. ცხრილში მოცემული რუკის ლეგენდის ფერები დაუკავშირეთ ჰუმანური განვითარების შესაბამის დონეებს:



I. ჰუმანური განვითარების დონე	II. რუკის ლეგენდის ფერი
ა. უმაღლესი	1. ყვითელი 
ბ. მაღალი	2. ნარინჯისფერი 
გ. საშუალო	3. ლურჯი 
დ. დაბალი	4. მწვანე 

სწორი პასუხი:

I	ა	ბ	გ	დ
II	3	4	1	2

შეფასება: დავალება 1 ქულიანია. 4 სწორი პასუხი - 1 ქულა, 4-ზე ნაკლები სწორი პასუხი - 0 ქულა.

თანმიმდევრობის განსაზღვრა

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემული ჩამონათვალი უნდა დალაგდეს მითითებული პრინციპის შესაბამისად (მოვლენათა ქრონოლოგია, პროცესის ეტაპების თანმიმდევრობა და სხვ.). პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცლის მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ ჩამონათვალის შესაბამისი ციფრი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნასა და ცოდნის გამოყენების, ინფორმაციის დალაგების უნარს მოცემული პრინციპის შესაბამისად. დავალებაში შესაძლოა მითითებული იყოს ერთი სწორი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშებს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

- დაალაგეთ საქართველოს მოქალაქის უფლებები მათი გამოყენების ასაკის შესაბამისად:

- მოსამართლეობა
- საკრებულოს წევრობა
- საკუთარი ქონების განკარგვა
- პრეზიდენტობის კანდიდატობა

			4*
--	--	--	----

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

სწორი პასუხი: ქონების განკარგვა - 18 წლიდან, საკრებულოს წევრობა - 21 წლიდან, მოსამართლეობა - 30 წლიდან, პრეზიდენტობის კანდიდატობა - 40 წლიდან.

3	2	1	4
---	---	---	---

ნიმუში 2

- ადამიანის მოთხოვნილებათა ჩამონათვალი დაალაგეთ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მოდელის შესაბამისად:

- მიღწევა, სტატუსი, რეპუტაცია
- დაცულობა, სტაბილურობა, უსაფრთხოება
- პიროვნების განვითარება და რეალიზაცია
- ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა

2*			
----	--	--	--

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

სწორი პასუხი: მოტივაციის იერარქიული თეორია: უსაფრთხოება, მიკუთვნება და სიყვარული, თვითპატივისცემა, თვითაქტუალიზაცია.

2	4	1	3
---	---	---	---

ლიადაბოლოებიანი დავალება

დავალების აღწერა – დავალებაში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც სავარაუდო პასუხები არ ახლავს. ყურადღებით გაეცანით პირობას და გაეცით კონკრეტული პასუხი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ შესაბამის ადგილას. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს საკითხის ცოდნის, მსჯელობის, არგუმენტირების, დასაბუთების უნარს. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით:

ნიმუში 1

ახსენით, რა არის სტერეოტიპი. დაასახელეთ სტერეოტიპული შეხედულების მაგალითი. რა უარყოფითი მხარე აქვს სტერეოტიპულ აზროვნებას?

სწორი პასუხის ნიმუში:

სქემატური, განზოგადებული შეხედულება რაიმე სოციალურ მოვლენაზე ან ობიექტზე. ადამიანთა ჯგუფის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენის გავრცელება (პოზიტიური ან ნეგატიური თავისებურებების მიწერა) ჯგუფის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს წარმოდგენა კონკრეტულ ინდივიდებს (1 ქულა). მაგალითი - „გერმანელები არიან შრომისმოყვარენი“, „ქალები ცუდად მართავენ მანქანას“. (1 ქულა)

უარყოფითი მხარე - სტერეოტიპული აზროვნების დროს ხდება ადამიანების ან იდეების გამარტივებული, განზოგადებული და ხშირად გაუთვითცნობიერებელი აღქმა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს წინასწარ შექმნილი ნეგატიური აზრი და დისკრიმინაცია. (1 ქულა)

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. შესაბამისი მაგილითის მოყვანა - 1 ქულა, უარყოფითი მხარის ჩვენება - 1 ქულა. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

შეცდომის გასწორება

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც გარკვეული ინფორმაცია (ტერმინი, სახელი, თარიღი) შეცდომითაა მოცემული. აბიტურიენტმა უნდა იპოვოს და გაასწოროს შეცდომები. პასუხები ფიქსირდება პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. პასუხების ფურცელში არ გადაიტანება შეცდომის შემცველი სრული წინადადება, არამედ მხოლოდ მცდარი ტერმინი, სახელი ან თარიღი. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. შეფასდება შეცდომა, თავის გასწორებულ ვარიანტთან ერთად 1 ქულით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით:

ნომერი 1

ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:

პარლამენტარიზმი საქართველოში

საქართველოში სამეფო ძალაუფლების შეზღუდვისა და პარლამენტის ტიპის ხელისუფლების შექმნის იდეა ჯერ კიდევ XII საუკუნეში გაჩნდა, საფრანგეთში „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღებამდე ცოტა ხნით ადრე.

1906 წლიდან ქართველებს რუსეთის საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცათ. სხვადასხვა დროს საქართველოდან წარგზავნილ დეპუტატთა შორის იყვნენ ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე. ამავე დროს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი წერეთელი.

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებით, აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. უკვე დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1919 წელს პირველი ქართული კონსტიტუცია მიიღო. მალევე საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ და საქართველოში დამოუკიდებელი საპარლამენტო ხელისუფლება, ფაქტობრივად, ათეულობით წლის მანძილზე აღარ არსებობდა. 1991 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. არჩეულმა უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

2010 წელს თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის 20 წლისთავი აღინიშნა. დღეს საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს ქვეყნის მოსახლეობა პროპორციული საარჩევნო სისტემით ირჩევს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელია.

სწორი პასუხი:

შეცდომა		სწორია
1.	საფრანგეთი	ინგლისი
2.	აკაკი წერეთელი	ილია ჭავჭავაძე
3.	1919 წელი	1921 წელი
4.	1991 წელი	1990 წელი
5.	პროპორციული	შერეული
6.	ხუთი წლით	ოთხი წლით

შეფასება: ყოველი ნაპოვნნი შეცდომა მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა.

○ *ილუსტრაციის ანალიზი*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია ილუსტრაცია, რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ილუსტრაციის მთავარი საზრისის, პრობლემის ანალიზის, სიმბოლოების გაგების, საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე, არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნომერი 2

გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:



1. რა პრობლემის წინააღმდეგ არის მიმართული მოცემული ილუსტრაცია?
2. დაასახელეთ სამი ელემენტი, რომელთა გამოყენებითაც არის აგებული ილუსტრაცია და ახსენით, როგორ ქმნიან თქვენს მიერ დასახელებული საგნები ერთიან საზრისს.
3. იმსჯელეთ არგუმენტირებულად ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის შესახებ.

სწორი პასუხის ნიმუში:

1. ადამიანის მიერ ბუნებისადმი ცუდად მოპყრობის წინააღმდეგ.

2. ნაჯახი; ადამიანი; ხე. ილუსტრაციის მიხედვით, ადამიანი ნაჯახის საშუალებით ჩეხავს ხეს, რომელიც საკუთარი სხეულის ნაწილს წარმოადგენს. ანუ ბუნება, რომელსაც ადამიანი ცუდად ეპყრობა, უფრო მეტად არის ადამიანთან დაკავშირებული, ვიდრე მას ხშირად წარმოუდგენია.

3. მიმაჩნია, რომ ადამიანი, ხშირად ვერ აცნობიერებს თუ რამდენად გადაჯაჭვულია ის იმ გარემოსთან, რომელშიც ცხოვრობს. ხე შეიძლება მრავალმხრივ გამოსადეგია, როგორც რესურსი, მაგრამ იგი ამავედროულად ჟანგბადს წარმოქმნის, რის გარეშე ჩვენი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ანუ შეიძლება ითქვას, ხის მოჭრით ჩვენ თავსაც ვიკლავთ. მეორეს მხრივ, ბუნებასთან ურთიერთობა ადამიანს ეხმარება სულიერ განვითარებაში, რაც აგრეთვე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, რომელიც შეესაბამება კითხვას 1 ქულით შეფასდება. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.

პრობლემის გადაჭრა

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია პრობლემის აღწერა და მიზანი იმ პროექტისა, რომლის განხორციელებაც პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. აბიტურიენტი უნდა გაეცნოს პრობლემის აღწერასა და პროექტის მიზანს და განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები: ჩამოაყალიბოს ორი ამოცანა და თითოეული ამოცანის განხორციელების ეფექტური გზა. მოცემული დავალება ამოწმებს პრობლემის გადაჭრისა და პროექტის სტრუქტურირების საბაზისო ცოდნას. მოცემული დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

სასკოლო პროექტი	
პრობლემის აღწერა	<p>მრავალ სკოლაში სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სივრცეს, სადაც მოსწავლეები ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობენ მათთვის საინტერესო საკითხებზე, გეგმავენ სასკოლო ღონისძიებებს, ასევე მართავენ შეხვედრებს საინტერესო პიროვნებებთან.</p> <p>თქვენი სკოლის ბიბლიოთეკა ამგვარ ფუნქციას ვერ ასრულებს. მისი წიგნადი ფონდი ძალიან მწირია, ხოლო ინფრასტრუქტურა არ იძლევა მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალებას.</p>
პროექტის მიზანი	სკოლის ბიბლიოთეკის სასწავლო ცენტრად ქცევით მოსწავლეთა სწავლის პროდუქტიულობისა გაზრდა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება.
პროექტის ამოცანები	<p>(კონკრეტული <i>მიმართულებები</i> პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად)</p> <p><u>I ამოცანა:</u></p> <p><u>II ამოცანა:</u></p>
განხორციელების გზები	<p>(კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად)</p> <p><u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u></p> <p><u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u></p>

სწორი პასუხის ნიმუში:

I ამოცანა: სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება.

II ამოცანა: ბიბლიოთეკის სივრცის პოპულარიზაცია

I ამოცანის განხორციელების გზა: ეროვნულ ბიბლიოთეკასთან კავშირის დამყარება, სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრების მიზნით.

II ამოცანის განხორციელების გზა: წიგნის კითხვის კლუბის ჩამოყალიბება და სკოლის ბიბლიოთეკაში კლუბის შეხვედრების სისტემატიური გამართვა.

შეფასება:

I. პრობლემის მოგვარება: მაქსიმალური 3 ქულა

პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული, გრძელვადიანი ეფექტის მქონე მიდგომა (ამოცანა და მისი ადეკვატური განხორციელების გზა), რომლითაც მიიღწევა დასახული მიზანი, პასუხი სრულია და აზრი მკაფიოდ იკითხება - **3 ქულა**.

პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული მიდგომა, მაგრამ ერთ-ერთი ნაკლებად ეფექტიანია ან არასრულია - **2 ქულა**.

პრობლემის გადასაჭრელად დასახულია მხოლოდ ერთი ეფექტიანი მიდგომა - **1 ქულა**.

დავალებაში მოცემული ამოცანები და განხორციელების გზები არ შეესაბამება მიზანს, არარეალისტურია, ზოგადია, არ იძლევა მისაღწევი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობას - **0 ქულა**.

II. პროექტის სტრუქტურა: მაქსიმალური 1 ქულა

ამოცანები გამიჯნულია განხორციელების გზებისგან, ამოცანა და განხორციელების გზები მკაფიოდ არის ფორმულირებული, წერია მათთვის განკუთვნილ ველში, ჩანს პროექტის შედეგის საბაზისო უნარები;

(არ ფასდება თუ პირველი კრიტერიუმი შეფასდა 0 ქულით)

დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

○ *არგუმენტირებული მსჯელობა*

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია პრობლემური საკითხი, დილემური სიტუაცია, სხვადასხვა თვალსაზრისი. აბიტურიენტმა უნდა მოიყვანოს დავალების პირობაში მოცემული საკითხის შესახებ მტკიცებითი და უარყოფელი არგუმენტები. დავალების შეფასების მაქსიმალური ქულა არის 4.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნიმუში 1

არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტი უარყოფითი მოვლენაა. მოიყვანეთ ორი არგუმენტი ამ მოსაზრების განსამტკიცებლად, ხოლო ორი არგუმენტი ამ მოსაზრების საპირისპიროდ.

სწორი პასუხის ნიმუში:

კონფლიქტის უარყოფითი მხარეები:

1. კონფლიქტში შესაძლოა დავმარცხდეთ, ვერ დავიცვათ ჩვენი ინტერესი.
2. კონფლიქტს ახლავს უარყოფითი ემოციები. კონფლიქტის მოგვარებაზე იხარჯება დიდი დრო.

კონფლიქტის დადებითი მხარეები:

1. კონფლიქტი გვეხმარება ინფორმაციის დაზუსტებაში, ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავლის, ახალი შესაძლებლობების მონახვაში, ასევე წინსვლასა და განვითარებაში. რის გამოც კონფლიქტი არ შეიძლება ჩაითვალოს ცალსახად უარყოფით მოვლენად.
2. კონფლიქტი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ საკუთარი მოსაზრებები მოწინააღმდეგის თვალით, გადავავასოთ ჩვენი შეხედულებები.

შეფასება: თითო გამართულად ჩამოყალიბებული, ადეკვატური დამოუკიდებელი არგუმენტი შეფასდება 1 ქულით. დავალების მაქსიმალური შეფასება 4 ქულა.

○ წყაროს (პრობლემის) ანალიზი

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია წყარო (წერილობითი, ვიზუალური), რომელსაც თან რამდენიმე შეკითხვა ახლავს. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, პრობლემის ანალიზის, ტექსტის გაგების, საჭირო ინფორმაციის გამოყოფისა და კონტექსტში გააზრების უნარს, ასევე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს; ქულათა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

გთავაზობთ ამ ტიპის დავალების ნიმუშს სწორი პასუხებით.

ნიმუში 1

გაეცანით ქვემოთ მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1



ყოფილი პრეზიდენტების შეხვედრა, მოქმედ პრეზიდენტთან. მარცხნიდან მარჯვნივ: ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში, ბარაკ ობამა, ჯორჯ უოლკერ ბუში, ბილ კლინტონი, ჯიმი კარტერი.



კანონპროექტის განხილვა პარლამენტში.



რუსთაველის გამზირი სამოქალაქო ომის დროს.



ერთსულოვნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე.

წყარო N2

“ამას ვამჩნევ ფიქრისა და მსჯელობისას სხვას მაინც მიჰბადონ, თუ შინაარსით არა, გარეგნობით მაინც, რომ უცხო კაცი დაესწროს, ის არა თქვას: ე, რა ღმერთი გამიწყრა, რა ველურს ხალხში მოვემწყვდიეო. აგერ, შორს რად გვინდა წასვლა, შევხედოთ ინგლისელებს. დაუკვირდეთ გლადსტონს და ირლანდიის შესახებ მის აზრის მოწინააღმდეგეთ, როგორ ეპყრობიან, რა კილოთი საუბრობენ, რა საზომი და სასწორი უჭირავთ ხელში. „მართალია, ამა და ამ აზრში მოტყუებულა გლადსტონი, მაგრამ მაინც დიდებული კაციაო, მაინც დიდებაა ინგლისისაო“. აბა, კაი ბიჭი ხარ და ქართველ კაცს გააბედინებ, ათქმევინებ თავის მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად, თავით ბოლომდე, მტყუანი ხარ, მართლის თქმა, მართლის ქმნა არ ძალგიძსო. ამას ვამჩნევ მე და გული მტკივა. ამ ტკივილმა ისე იმატა, რომ თავსაც მატკიებს. ამგვარი საქციელი, ამისთანა ერთი მეორესთან დამოკიდებულება, ჩემს თავში ვერა თავსდება, გონებას მიძრწუნებს“. ვაჟა-ფშაველა, „ამას ვამჩნევ“, 1861-1915.

1. რომელი მოსაზრება არ არის მართებული წყარო N2 ის ტექსტიდან გამომდინარე?

- ა. საქართველოში ოპონენტები ერთმანეთს უპატივცემულოდ ექცევიან;
- ბ. ფორმალურად მაინც უნდა იქნას დაცული ერთმანეთთან მოპყრობის წესები;
- გ. თუ მოწინააღმდეგე ტყუის, მას ეს ტყუილი უნდა მიუთითო და აიძულო ბოდიშის მოხდა;
- დ. ძნელია საქართველოში ვინმეს მოწინააღმდეგეზე საქებარი სიტყვა ათქმევინო.

სწორი პასუხი: გ

2. რა ეწოდება განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების თანაარსებობას?

- ა. ეიჯიზმი
- ბ. ნეპოტიზმი
- გ. პლურალიზმი
- დ. ეგზისტენციალიზმი

სწორი პასუხი: გ

3. წყაროებზე დაყრდნობით იმსჯელეთ რა ნეგატიური შედეგები შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ერთმანეთის უპატივცემლობას.

4. ფოტო N4 -ის მიხედვით იმსჯელეთ საქართველოში დღევანდელი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე რა ნეგატიური კვალი დატოვა საბჭოთა კავშირში მისმა წევრობამ.

5. იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული საზოგადოებისათვის პოლიტიკურ ოპონენტებს შორის მიმდინარე დიალოგი.

სწორი პასუხის ნიმუში:

3. პოლიტიკურ ოპონენტთა შორის დაპირისპირების არასწორი ფორმების გამოყენებით რთულდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ამას გარდა, თუკი ოპონენტები ერთმანეთს მუდამ მტრად განიხილავენ და უარს განაცხადებენ თანამშრომლობაზე, პოლიტიკური დაპირისპირება შესაძლოა გასცდეს პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელ ჩვეულ ფორმებს და კონფლიქტში გადაიზარდოს.

4. როგორც ფოტო და მისი სათაური გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირში არსებობდა ერთსულოვნება პოლიტიკოსთა შორის. მსგავსი ერთსულოვნება, რომელიც რეპრესიების საშუალებით მიიღწეოდა გამორიცხავდა განსხვავებული აზრის არსებობას. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ შეიმჩნევა განსხვავებული პოლიტიკური აზრის აუტანლობა და ვფიქრობ ეს სწორედ ერთპარტიული სისტემის ნეგატიურ გავლენად შეიძლება მივიჩნიოთ.

5. დიალოგი გვამლევს საშუალებას გადავამოწმოთ ჩვენი შეხედულებები. სწორედ პოლიტიკურ ოპონენტთან დიალოგის დროს ვლინდება ჩვენი საკუთარი შეხედულებების მცდარობა თუ მართებულობა. ამდენად დიალოგი გვეხმარება განვითარებაში. პოლიტიკური დიალოგის არარსებობა აუცილებლად გულისხმობს მხოლოდ ერთი მოსაზრების დომინაციას, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიულობის პრინციპს.

შეფასება: მკაფიო, კონკრეტული, ადეკვატური პასუხი, სადაც მოცემულია სწორი განმარტება და არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა, შეფასდება 1 ქულით. მოცემული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა.

რჩევები აბიტურიენტებს:

ღია დავალებებში მაქსიმალური ქულის მისაღებად:

- ყურადღებით გაეცანით დავალების მოთხოვნას და გაეცით კონკრეტული პასუხი;
- პასუხში უნდა ჩანდეს სამოქალაქო განათლების საგნის ცნებებისა და ტერმინების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზის უნარი, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული არგუმენტაციის უნარი;
- წერეთ გარკვევით;
- პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. თქვენი ნაწერი არ უნდა გასცდეს პასუხისათვის გამოყოფილ არეალს.
- თუ სამუშაო ფურცელზე მუშაობთ, დაიტოვეთ საკმარისი დრო თქვენი ნაშრომის პასუხების ფურცელზე გადასატანად.

გაითვალისწინეთ:

- დავალების შესრულებისას, რომელიც ითვალისწინებს შეცდომების გასწორებას, პასუხების ფურცელზე უნდა გადაიტანოთ მხოლოდ ნაპოვნი შეცდომა მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად და არა მთელი წინადადება. შეცდომათა არასწორი თანმიმდევრობა გავლენას არ მოახდენს შეფასებაზე.
- სასკოლო პროექტის მონახაზის შედგენის დროს შეეცადეთ პასუხი არ იყოს შაბლონური. თქვენ მიერ შემოთავაზებული ამოცანები პროექტში დასახული მიზნის მიღწევის ორ განსხვავებულ მიდგომას უნდა ასახავდეს. თითოეული ამოცანა და მათი განხორციელების გზა უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმგვარი ფორმით, რომ შესაძლებლობას იძლეოდეს განისაზღვროს მისაღწევი შედეგი.
- დავალების შესრულებისას, რომელიც ითხოვს სადისკუსიო საკითხის შესახებ არგუმენტირებულ მსჯელობას, თქვენ უნდა დაასახელოთ როგორც მომხრეთა, ისე მოწინააღმდეგეთა არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი აზრის მატარებელი. მსჯელობა უნდა მოიცავდეს მტკიცებულებას, რომლის საფუძველზეც გარკვეული პოზიციის დასაბუთებაა შესაძლებელი.

სამოქალაქო განათლების ტესტის ნიმუში

შეფასების სქემა

პასუხების ფურცელი

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში სხვადასხვა ტიპის 30 დავალებაა. ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით X ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რა არსებითი ნიშანი განასხვავებთ ერთმანეთისაგან უნიტარულ, ფედერაციულ და კონფედერაციულ სახელმწიფოებს?

ა) ტერიტორიული მოწყობა;

ბ) ეკონომიკური განვითარება;

გ) ლიბერალური მმართველობა;

დ) სოციალური თანასწორობის ხარისხი.

(1) **2. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა:**

- ა) სრულწლოვანების მიღწევისთანავე;
- ბ) 16 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
- გ) 7 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ;
- დ) დაბადების მომენტიდან.

(1) **3. სამართლის რომელი დარგი არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს?**

ა) სისხლის სამართალი;

ბ) სამოქალაქო სამართალი;

გ) მუნიციპალური სამართალი;

დ) ადმინისტრაციული სამართალი.

(1) **4. რომელი დოკუმენტი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ?**

ა) პეტიცია უფლებათა შესახებ;

ბ) ადამიანის უფლებათა ბილი;

გ) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;

დ) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.


(1) **5. რას ეწოდება სამუშაო ძალა?**

- ა) შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობას;
- ბ) საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა ერთობლიობას;
- გ) ანაზღაურების მიღების მიზნით მომუშავე ადამიანთა მთლიანობას;
- დ) ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს აქტიურ მაძიებელთა წილს.

- (1) 6. რა აუცილებელი პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხელისუფლება რომ ლეგიტიმურად ჩაითვალოს?
- ა) მოქალაქეების მიერ სახელმწიფო ძალაუფლების აღიარება;
 - ბ) საერო და სასულიერო მმართველობის სფეროების გამიჯვნა;
 - გ) მოქალაქეების შეუზღუდავი წვდომა საჯარო ინფორმაციაზე;
 - დ) წინასაარჩევნო კამპანიაში ამომრჩეველთა აქტიური ჩართულობა.

- (1) **7. სახელმწიფო ბიუჯეტი პრეფიციტურია მაშინ, როდესაც:**
- ა) საბიუჯეტო შემოსავლები აღემატება საბიუჯეტო ხარჯებს;
 - ბ) საბიუჯეტო ხარჯები აღემატება საბიუჯეტო შემოსავლებს;
 - გ) საბიუჯეტო ხარჯები წინა წელთან შედარებით გაზრდილია;
 - დ) საბიუჯეტო შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირებულია.

8. დავალებაში არასრულადაა მოცემული სამოქალაქო მონაწილეობის კიბის საფეხურები. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



(1) 9. ჩამოთვლილთაგან რომელია თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტური პრინციპი?

I. პოლიტიკური ტოლერანტობა;

II. ხელისუფლების დანაწილება;

III. ძალაუფლების უზურპაცია.

ა) მხოლოდ I და III;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და II;

დ) სამივე პრინციპი.

(1) **10. რომელი განმარტება შეესაბამება ეკონომიკაში ალტერნატიული ღირებულების ცნებას?**

ა) ფასი, რომელიც ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების, აგრეთვე სუბიექტური სარგებლიანობის მიხედვით დგინდება;

ბ) იმ საქონლისა თუ მომსახურების ღირებულება, რომელთაც ვთმობთ სხვა საქონლისა თუ მომსახურების შესაძენად ან საწარმოებლად;

გ) ფასი, რომელიც ფიზიკური ან იურიდიული პირების გადაწყვეტილებით დგინდება და არ არის საბაზრო ძალების ობიექტური თამაშის შედეგი;

დ) საქონლისა თუ მომსახურების ღირებულება, ყველა იმ დანახარჯის გათვალისწინებით, რომელიც მის საწარმოებლად ან გასაწევად დაიხარჯა.

(1) 11. არჩევნებში მონაწილეობისას მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქემ არჩევანი სწორი კრიტერიუმებით გააკეთოს. რომელი არ არის მართებული კრიტერიუმი არჩევანის გაკეთებისას?

ა) კანდიდატის პიროვნული თვისებები, როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური, შეესაბამება იმ თანამდებობას, რომლის დაკავებასაც ის ცდილობს;

ბ) კანდიდატი ამომრჩევლებს ჰპირდება, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ისინი იცხოვრებენ ბედნიერად და უზრუნველყოფილად;

გ) კანდიდატს ჩამოყალიბებული აქვს საარჩევნო პროგრამა და მასში წარმოდგენილია სამოქმედო გეგმა, ნაკლებად პოპულარული, თუმცა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად;

დ) კანდიდატს პოლიტიკურ ასპარეზზე საქმიანობის გამოცდილება აქვს და ამასთანავე, გამჭვირვალეა მისი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წყარო.

(1) **12. საქართველოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ მსჯელობებიდან რომელი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას?**

- ა) სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს;
- ბ) საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს ყოველთვის აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ;
- გ) საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს;
- დ) სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.

(1) **13. სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად მნიშვნელოვანია, ადამიანს ჰქონდეს მოტივაცია. ჩამოთვლილთაგან რომელია შინაგანი მოტივაციის მაგალითი?**

- I. სამსახურებრივი მოვალეობის სრულყოფილად შესრულება ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ;
- II. საქველმოქმედო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ვინაიდან თქვენთვის ასეთი აქტივობა სახალისოა;
- III. უცხო ენების სწავლება მოხალისეობრივად, ვინაიდან გსიამოვნებთ ამგვარად ცოდნის გავრცელება;
- IV. ადამიანების დახმარება მეგობრებისგან შექების მიღების მიზნით.

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ III და IV;

გ) მხოლოდ II და III;

დ) არცერთი.

(1) 14. 1959 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრა ბავშვთა დაცვის ძირითადი პრინციპები, თუმცა ამ დოკუმენტს სამართლებრივად მავალდებულებელი ხასიათი არ გააჩნდა. 1989 წელს კი მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების -----, რომელიც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის უფლებების დაცვას საერთაშორისო დონეზე.

ა) დეკლარაცია;

ბ) კონვენცია;

გ) პაქტი;

დ) ოქმი.

(1) 15. პრობლემის პირისპირ დგომისას ----- ხდება მთავარი პრინციპი, რომელზეც ვაშენებთ უფრო მეტად ინკლუზიურ და ერთსულოვან საზოგადოებას, სადაც თანაგრძნობა და ურთიერთგაგება წამყვან როლს ასრულებს. ასეთ საზოგადოებაში სამართლიანობასა და თანასწორობისაკენ საერთო სწრაფვა არ იძლევა გარიყვის შესაძლებლობას და განსხვავებულ ადამიანებს საერთო ინტერსების ირგვლივ აერთიანებს.

ა) აპათია;

ბ) სოლიდარობა;

გ) სუბორდინაცია;

დ) სტიგმატიზირება.

(1) 16. რა იდეას ასახავს ილუსტრაცია?



- ა) გენდერული თანასწორობა;
- ბ) ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- გ) აღმსარებლობის თავისუფლება;
- დ) კულტურული მრავალფეროვნება.

(1) **17. გაეცანით სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:**

უმაღლესი სასწავლებლის პროფესორმა ერთ-ერთი ისტორიული მოვლენის შესახებ საჯაროდ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, რომელიც არ ეთანხმებოდა საზოგადოებაში ამ მოვლენაზე გაბატონებულ შეხედულებას. ამის საპასუხოდ მოსახლეობის გარკვეულმა ჯგუფმა საპროტესტო აქცია გამართა და პროფესორისთვის სწავლების უფლების ჩამორთმევა მოითხოვა. ამასთან ერთად, პროტესტის მონაწილეები ითხოვდნენ, რომ პროფესორს ნებისმიერი საჯარო გამოსვლა აკრძალვოდა.

მოცემული სიტუაციის რომელი შეფასებაა სამართლებრივი თვალსაზრისით მართებული?

- ა) პროფესორს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე, მაგრამ ის მხოლოდ უნივერსიტეტის სივრცეში უნდა გამოთქვას და არა საჯაროდ;
- ბ) საზოგადოებაში გაბატონებული აზრის წინააღმდეგ წასვლა ხშირად იწვევს კონფლიქტებს, ამიტომაც სახელმწიფოს ვალდებულებაა მსგავსი მოსაზრებების რეგულირება;
- გ) პროფესორს უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება ნებისმიერ მოვლენაზე და თუკი იგი არ არღვევს კანონს, მისი შეზღუდვა დაუშვებელია;
- დ) არავის აქვს უფლება შეუზღუდოს პროფესორის თუნდაც დისკრიმინაციული აზრის გამოხატვა, ვინაიდან სიტყვის თავისუფლება აბსოლუტური უფლებაა და ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია მისი შეზღუდვა.


- (1) **18. ცხრილში მოცემულია მონაცემები ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობის შესახებ ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით:**

ეკონომიკური საქმიანობები	ბრუნვა (მლნ. ლარი)	
	2019 წელი	2020 წელი
დამამუშავებელი მრეწველობა	2 318.9	2 556.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	208.4	283.6
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	1 031.8	1 213.8
მშენებლობა	1 505.8	1 453.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	291.4	136.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	7 236.9	9 182.4

რომელი მსჯელობა შეესაბამება ცხრილის მონაცემებს?

- ა) 2020 წელს ბიზნეს სექტორის ყველა მიმართულებით ბრუნვის ზრდა დაფიქსირდა;
- ბ) 2020 წელს მშენებლობის სფეროს ბრუნვა შემცირდა, დამამუშავებელი მრეწველობის სფეროს ბრუნვა კი გაიზარდა;
- გ) ბიზნეს სექტორში ბრუნვის ყველაზე დიდი წილი ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფეროზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე - მშენებლობაზე;
- დ) სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები ყველაზე შემოსავლიანია.

(1) 19. ინფოგრაფიკაზე მოცემულია საქსტატის მონაცემები 2022 წელს შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ:



რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

- ა) საქართველოში შინამეურნეობების უფრო დიდი ნაწილია უზრუნველყოფილი კომპიუტერით, ვიდრე ინტერნეტით;
- ბ) ინტერნეტითა და კომპიუტერებით თანაბრადაა უზრუნველყოფილი როგორც ქალაქის, ასევე სოფლის შინამეურნეობები;
- გ) 6 წლისა და უფროსი ასაკის ზევით მოსახლეობაში საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება მოწინავე ადგილზეა ინტერნეტის გამოყენების ძირითად მიზნებს შორის;
- დ) 15 წლისა და უფროსი ასაკის ზევით მოსახლეობის ნახევარზე მეტისათვის ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა არ წარმოადგენს ინტერნეტის გამოყენების ძირითად მიზანს.

(1) 20. ყურადღებით გაეცანით ამონარიდს სტატიიდან და უპასუხეთ კითხვას:

კლიმატის ცვლილება რთული და კომპლექსური საკითხია, რომელმაც ბოლო წლებში საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. დედამიწის კლიმატის ხანგრძლივი ცვლილების პროცესზე დღესდღეობით დიდ გავლენას ახდენს ადამიანი ისეთი საქმიანობებით, როგორებიცაა ნავთობპროდუქტების წვა და ტყის ჩეხვა. კლიმატის ცვლილებას შესაძლოა განაპირობებდეს ისეთი ბუნებრივი მიზეზებიც, როგორებიცაა, მაგალითად, მზის რადიაციის ზრდა, ვულკანების ამოფრქვევა და სხვ.

ძალიან ბევრი სამეცნიერო კვლევა ასაბუთებს იმას, რომ კლიმატის ცვლილების ძირითადი მიზეზი ადამიანის მოქმედებას უკავშირდება. კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელი, რომელიც აფასებს კლიმატთან დაკავშირებულ მეცნიერულ მიგნებებს, აცხადებს, რომ „მაღალი ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სწორედ ადამიანის გავლენაა ძირითადი მიზეზი გლობალური დათბობისა, რომელსაც მეოცე საუკუნიდან მოყოლებული ვაკვირდებით.“

კლიმატის ცვლილების გავლენა ძალიან დიდია დედამიწის ფლორასა და ფაუნაზე. ამის გამო ძალიან ბევრი ცხოველი გადაშენების პირასაა, ბევრი კი იძულებულია ქცევა შეიცვალოს, რათა ახალ გარემოსთან ადაპტირება შეძლოს.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ იქნას მიღებული ისეთი ზომები, როგორებიცაა, მაგალითად, განახლებადი ენერჯის წყაროების მონახვა. ამ მოსაზრებას კრიტიკოსებიც ჰყავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მსგავსი ზომების ფასი ძალიან მაღალი იქნება და სჯობს კლიმატური ცვლილების შედეგებს მოვერგოთ, ვიდრე ვებრძოლოთ მათ.

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა ფაქტი და არა მოსაზრება?

- ა) კლიმატის ცვლილებები ახლო მომავალში არაერთი სახეობის ცხოველის გადაშენებას გამოიწვევს;
- ბ) ძვირადღირებული პროექტების განხორციელება უშედეგოა კლიმატის ცვლილებების თავიდან ასარიდებლად;
- გ) განახლებადი ენერჯის წყაროების მონახვა ერთადერთი გამოსავალია კლიმატის ცვლილებებთან გასამკლავებლად;
- დ) ნავთობპროდუქტების წვა და ტყის ჩეხვა ის ხელოვნური მიზეზებია, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს ფლორასა და ფაუნაზე.

(1) 21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვას:

„რამდენი მაგალითია, რომ უცხო-ქვეყნელი, ვინ იცის საიდან მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა-პურსა ჰმოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ-კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ, გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა ...

საკვირველია! თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰმოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რალა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი ძლებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნალები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო ...

რათ არის ესე? იმიტომ არის, რომ უცხო-ქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვია... ეხლანდელს დროში ნურვინ იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჭიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ; ნალებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს.“

ილია ჭავჭავაძე, „ისევ განათლების საკითხებზე“.


ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა) ადამიანები ყოველთვის ჩივიან საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან ქვეყანა უპირატესობას უცხოურ პროდუქციას ანიჭებს;
- ბ) წარმატების მისაღწევად საჭიროა ამა თუ იმ საქმიანობაში განსწავლულობა, რაც ადამიანს ეხმარება სიღარიბის დაძლევისა და სიმდიდრის მოპოვებაში;
- გ) უცხოელთა შემოდინება დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი მთავარი ინტერესი პირადი სარგებლის ნახვაა;
- დ) უცხოელთა წარმატებული ეკონომიკური საქმიანობა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება და ხელს უშლის ჩვენი მოქალაქეების წარმატებულ საქმიანობას.

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია მსოფლიო რუკა, რომელიც ასახავს სხვადასხვა ქვეყანაში მწველი მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებლებს. მას ახლავს სამი კითხვა არჩევითი პასუხებით. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.



(1) **22. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, მწველთა პროცენტული მაჩვენებელი:**

ა) კანადაში უფრო მაღალია, ვიდრე ავსტრალიაში;

ბ) ეგვიპტეში უფრო მაღალია, ვიდრე მონღოლეთში;

გ) ბრაზილიაში უფრო დაბალია, ვიდრე ახალ ზელანდიაში;

დ) სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უფრო დაბალია, ვიდრე ინდოეთში.

(1) **23.** რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელ ჩამონათვალშია დალაგებული ქვეყნები მწველთა პროცენტული მაჩვენებლის კლების მიხედვით?

ა) ალჟირი, ა.შ.შ., თურქეთი;

ბ) ჩინეთი, არგენტინა, ირანი;

გ) ჩილე, მადაგასკარი, რუსეთი;

დ) დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ნორვეგია.

(1) **24. რუკის მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?**

- ა) მწველთა ყველაზე დიდი პროცენტული რაოდენობა ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ფიქსირდება;
- ბ) ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში პროცენტულად უფრო მეტი მწველია, ვიდრე სამხრეთ ევროპის ქვეყნებში;
- გ) ევრაზიის კონტინენტზე მწველთა ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ჩინეთშია;
- დ) პროცენტულად აზიის ქვეყნებში უფრო მეტი მწველია, ვიდრე აფრიკის ქვეყნებში.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. პასუხების რამდენჯერმე გამეორება შესაძლებელია. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) 25. II სვეტში მოცემული ქცევის მოდელები კონფლიქტურ სიტუაციაში შეუსაბამეთ I სვეტში

მოცემულ მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს:

I. დამახასიათებელი ნიშნები	II. ქცევის მოდელები კონფლიქტურ სიტუაციაში
ა) სიტუაციისგან დისტანცირება და პრობლემის იგნორირება.	1. კომპრომისი 2. კონკურენცია 3. შეგუება 4. განრიდება 5. თანამშრომლობა
ბ) როგორც საკუთარი, ასევე მეორე მხარის ინტერესების აღიარება და აქტიური დაცვა.	
გ) საკუთარი ინტერესების აქტიური დაცვა და მეორე მხარის მოთხოვნილებების უგულებელყოფა.	
დ) საკუთარი ინტერესების დათმობა, მეორე მხარის ინტერესების დაკმაყოფილების სანაცვლოდ.	
ე) ურთიერთდათმობის საფუძველზე საკუთარი და მეორე მხარის ინტერესების ნაწილობრივ დაკმაყოფილება.	

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალეზა №26

კულტურული მრავალფეროვნება და მშვიდობიანი თანაცხოვრება

საზოგადოებრივი ურთიერთობები კულტურული მოვლენაა, რომელიც სხვადასხვა ნიშნით აერთიანებს ადამიანებს, მაგალითად, საერთო ენა ან ტრადიციები. საზოგადოებაში არსებული განსხვავებები კულტურულ მრავალფეროვნებას წარმოშობს. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში არაერთი განსხვავებული კულტურა თანაარსებობს. სახელმწიფოს მიდგომას, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და განვითარებისაკენ არის მიმართული, გენოციდი ეწოდება.

კულტურული მრავალფეროვნების მართვის რამდენიმე ძირითად ფორმას გამოყოფენ. სეგრეგაციის დროს განსხვავებული ნიშნის მქონე უმცირესობები უმრავლესობას შეერევიან და ამგვარად, მათ შორის განსხვავებულობა იშლება. პრინციპს, რომელსაც მშვიდობიანი თანაარსებობა ეფუძნება, დისკრიმინაცია ეწოდება და იგი გულისხმობს განსხვავებული შეხედულებებისა და ცხოვრების წესის პატივისცემასა და შემწყნარებლობას.

საზოგადოებაში არსებობს განსხვავებული ინტერესები, მიზნები და შეხედულებები, რომლებიც არც თუ იშვიათად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. ასეთ დროს კონფლიქტი წარმოიშვება. კონფლიქტის დროს მნიშვნელოვანია, მხარეებმა საერთო ენის გამონახვაზე იზრუნონ და აქტიურად მოუსმინონ მოწინააღმდეგის აზრს, ასევე ღიად განიხილონ და დააზუსტონ ინფორმაცია. კონფლიქტის მოსაგვარებლად ზოგჯერ არ არის საკმარისი ამგვარი საზოგადოებრივი მეთოდების გამოყენება და საჭირო ხდება, სამართლებრივ საშუალებებს მივმართოთ. საზოგადოებრივი მეთოდებისაგან განსხვავებით, კონფლიქტის გადაჭრის სამართლებრივი გზების გამოყენება გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას კონფლიქტის მოგვარების პროცესში. კონფლიქტის მოსაგვარებლად სახელმწიფოს

მიერ დადგენილი კონკრეტული წესები თავმოყრილია შესაბამის კანონთა კრებულებში, რომლებსაც ინდექსები ეწოდება. კონფლიქტის მოგვარების საზოგადოებრივსა და სამართლებრივ მეთოდებს განასხვავებენ იმითაც, თუ რა ძალის მქონეა მიღებული შედეგი. იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც საზოგადოებრივი მეთოდებითაა დადგენილი, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული ვალდებულებაა და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონფლიქტის მხარეებს შესაძლოა აეკრძალოთ რაიმე ქმედება, დაეკისროთ ფულადი ჯარიმა ან შეეზღუდოთ თავისუფლება და სხვა.

კონფლიქტის სამართლებრივი გზით მოგვარებისათვის მოქალაქეს შეუძლია სარჩელით მიმართოს პარლამენტს, რომელიც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოა. იგი სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი დამოუკიდებელი შტოა, საინიციატივო და საკანონმდებლო ხელისუფლებებთან ერთად. კონფლიქტის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდია მედიაცია, რომლის საშუალებითაც მხარეები მედიატორის დახმარებით ცდილობენ დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას. ასევე კონფლიქტის მოგვარებისათვის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული საგანგებო წესებით იქმნება და მუშაობს პროკურატურა, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოს და უფლებამოსილია განიხილოს ქონებრივი დავები.

კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას სახელმწიფოებრივ დონეზეც. სახელმწიფოთა შორის გამწვავებული კონფლიქტები ზოგჯერ ომის წარმოების მიზეზადაც იქცევა ხოლმე. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ათავისუფლებს ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების არჩევაში. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში დღესაც ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს 1949 წლის „ბრიუსელის კონვენცია“. აღნიშნული დოკუმენტი შედგება ხუთი კონვენციისაგან. ჰუმანიტარული სამართლის ძირითად დოკუმენტებს განეკუთვნება ასევე 1977 წელს მიღებული ორი დამატებითი ოქმი, რომლებსაც მოგვიანებით მესამეც შეემატა.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე](#)

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (№27)

დავალებაში მოცემულია პროექტის არასრული მონახაზი (აღწერილია პრობლემა და განსაზღვრულია პროექტის მიზანი). დაწერეთ ორი განსხვავებული ამოცანა და მათი განხორციელების გზები. გაითვალისწინეთ, ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს აღწერილ პრობლემასა და პროექტის მიზანს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №27

პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ის გამართულად ვერ ასრულებს საკუთარ ფუნქციას. მოსწავლეები არასათანადოდ არიან ინფორმირებულნი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ და არ არიან აქტიურად ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

პროექტის მიზანი:

სასკოლო თვითმმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა.

ამოცანები: *(დაწერეთ კონკრეტული მიმართულებები პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად.)*

I ამოცანა:

II ამოცანა:

განხორციელების გზები: *(დაწერეთ კონკრეტული ნაბიჯები / აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად.)*

I ამოცანის განხორციელების გზა:

II ამოცანის განხორციელების გზა:

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (№28)

გაეცანით დავალებაში მოცემულ ილუსტრაციას. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №28



- (1) 28.1 რა მოვლენას ასახავს ილუსტრაცია?
- (1) 28.2 იმსჯელეთ ილუსტრაციით გადმოცემული მოვლენის განმაპირობებელ მიზეზებზე;
- (2) 28.3 როგორ შეუძლია მოქალაქეს აღნიშნული მოვლენისაგან თავის დაცვა? იმსჯელეთ სახელმწიფოს როლზე აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (№29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და დაასახელეთ არგუმენტები. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული, ხოლო აზრი - დასრულებული. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება №29

საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი 18 წელს მიაღწევენ. ეს საკითხი პერიოდულად განხილვის საგანი ხდება, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია არჩევნებში მონაწილეობის ასაკის შემცირება.

- A. დაასახელეთ ასაკობრივი ცენზის შემცირების მომხრეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.
- B. დაასახელეთ ასაკობრივი ცენზის შემცირების მოწინააღმდეგეთა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი.

ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (№30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომლებსაც ახლავს როგორც დავალებები არჩევითი პასუხებით, ასევე ღია კითხვები. გაეცანით მოცემულ წყაროებს და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება №30

წყარო N1

„მხოლოდ ბრბო და ელიტა შეიძლება მოიხიბლოს ტოტალიტარული მომენტუმით; მასები კი პროპაგანდით უნდა იქნას მოგებული. კონსტიტუციური მთავრობისა და აზრის თავისუფლების პირობებში, ტოტალიტარულმა მოძრაობამ ძალაუფლებისთვის ბრძოლის მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე შეიძლება გამოიყენოს ტერორი და სხვა პარტიებთან უნდა გაიზიაროს მიმდევრების მოპოვების აუცილებლობა. ამასთანავე, მოიპოვოს საჯარო ნდობა საზოგადოებისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულად იზოლირებული ინფორმაციის ყველა სხვა წყაროსაგან. ადრე უკვე შეუნიშნავთ, რომ ტოტალიტარულ ქვეყნებში პროპაგანდა და ტერორი ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეა. ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. სადაც ტოტალიტარიზმი აბსოლუტურ ძალაუფლებას აღწევს, ის ანაცვლებს პროპაგანდას ინდოქტრინაციით და ძალადობას არა ადამიანების დასაშინებლად, არამედ მისი იდეოლოგიური დოქტრინისა და პრაქტიკული ტყუილების განსახორციელებლად იყენებს.“

ჰანა არენდტი, „ტოტალიტარიზმის დასაბამი“, 1951 წელი.

წყარო N2

„ასეთი დესპოტიზმი უბრალოდ აზროვნების აკრძალვა ან ცნობიერების შეზღუდვა არ გახლავთ. ჩვენ ვგულისხმობთ, გვგონია, რომ ჩვენს შიგნით, ჩვენს ცხოვრებაში შეგვიძლია რაღაცა ვიფიქროთ, რაღაც მოვიგონოთ, რაღაც გავიგოთ. ოღონდ ამის გამოთქმა გვაქვს აკრძალული და ჩვენი აზრი ამითაა დათრგუნული. ეს იქნებოდა კლასიკური დესპოტიზმი, რომელიც გამოიხატება ცენზორის სახით. აკრძალულია აზროვნების ნაყოფი და მისი ცირკულაცია - ადამიანებს შორის მისი გაცვლა-გამოცვლა. მაგრამ თუ დავაკვირდებით ტოტალიტარულ ფენომენს, დავინახავთ, რომ აქ სხვანაირად ხდება - აქ აზროვნებისა და ცნობიერების გარყვნა და დანგრევა შიგნიდან მოდის; ეს რაღაცნაირი სითხეა, რომელიც თავის ქალაში აღწევს და ანგრევს აზროვნების, განსაკუთრებით სოციალური ანუ მოქალაქეობრივი აზროვნების შინაგან წყაროებს. ამიტომ ყოველივე, რაც ჩვენ ახლა გვემართება, ის პროექტები, ლოზუნგები და დასკვნები, რომლებიც თავში გვიტრიალებს, ამ პერსპექტივაში უნდა განვიხილოთ; უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ მუშაობს აზროვნების დამანგრეველი ველი, რომელშიც თვით აზროვნების შესაძლებლობაა გარყვნილი, დანგრეული. ჩვენ იდეოლოგიურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ. იდეოლოგიამ, თავისი შინაგანი კანონის თანახმად, უნდა მიაღწიოს ისეთ წერტილს, სადაც მისი ეფექტი გაიზომება არა იმით, თუ რას დააჯერებს იგი ადამიანს, არამედ იმით, თუ რას არ აფიქრებინებს მას.

მერაბ მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, 1990 წელი.

წყარო N3

„ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა არა მარტო თანამედროვე პრობლემებზე მსჯელობისას შეუკრა კრიჭა ქართულ მწერლობას, არამედ - წარსულისაც. მაგალითად, იგი ხმას ვერ იღებს ისეთი ქართველი მოღვაწეების საქმიანობაზე, რომელთაც არ უნდოდათ საქართველოს რუსეთთან შეერთება ან შემდგომ პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ემსახურებოდნენ. [...] ალექსანდრე ბატონიშვილი ხომ პირდაპირ ჩაქოლვას იმსახურებს, რაკი საქართველოში რუსეთის გაბატონების წინააღმდეგი იყო. [...] დღევანდელ საქართველოში ერეკლე მეორისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ისევეა აკრძალული, როგორც მარქსისა და ლენინისადმი. რაკი ერეკლე რუსეთის ტრფიალად არის ჩათვლილი, ქართველ კომუნისტებს მონარქი იდეალად ჰყავთ მიჩნეული. რუსეთის ხათრით იდეოლოგიური ნიღაბიც კი ჩამოიხსნეს.“

აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“, 1990 წელი.

წყარო N4

1. არასოდეს გამოიყენო მეტაფორა, შედარება ან ისეთი სიტყვათწყობა, რომელსაც კითხულობთ ან ისმენთ მედიაში;
2. არასოდეს გამოიყენოთ გრძელი სიტყვა, თუკი მოკლედ გამოდგება აზრის გამოსახატად;
3. თუკი შესაძლებელია რომელიმე სიტყვის ამოღება, ყოველთვის ამოიღეთ;
4. არასოდეს გამოიყენოთ ვნებითი გვარი, თუკი შესაძლებელია მოქმედებითის გამოყენება;
5. არასოდეს გამოიყენოთ უცხოური ფრაზა, სამეცნიერო სიტყვა ან ჟარგონი, თუკი შეგიძლიათ მოიფიქროთ ეკვივალენტი ყოველდღიური ინგლისური ენიდან.

ჯორჯ ორუელი, „პოლიტიკა და ინგლისური ენა“, 1956 წელი.

(1) **30.1 ჰანა არენდტის ტექსტის მიხედვით:**

- ა) მხოლოდ ბრბო არის ტოტალიტარული მმართველობის საყრდენი;
- ბ) ტოტალიტარულმა მმართველობამ აღფრთოვანება შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ბრბოში და ელიტაში, მაგრამ არა ფართო მასებში;
- გ) ყველაზე დიდ სარგებელს ტოტალიტარული მმართველობისაგან იღებენ ელიტები, რომლებიც მმართველობის ვერტიკალის სათავეში არიან;
- დ) ბრბოსა და ელიტების გარდა, ტოტალიტარული მმართველობის ფუნქციონირებისათვის ფართო მასების მხარდაჭერაც მნიშვნელოვანია.

(1) 30.2 აკაკი ბაქრაძის ტექსტის მიხედვით, რა მოიაზრება „ლიტერატურის პარტიულობის“ პრინციპში?

ა) მწერლების გაწევრიანება პარტიაში;

ბ) მწერლების მიერ პარტიის შესახებ ლექსების წერა;

გ) მწერლების მიერ წარსულის გადააზრების ხელშეწყობა;

დ) პარტიული პოლიტიკის მიერ მწერალთა თავისუფლების შეზღუდვა.

- (2) 30.3 N1 წყაროს მიხედვით, რა პირობებს ქმნის კონსტიტუციური წყობა და სიტყვის თავისუფლება პოლიტიკური პარტიებისათვის. ტექსტის მიხედვით დაასახელეთ ტოტალიტარული სახელმწიფოს მთავარი სამართავი ხელსაწყოები?
- (2) 30.4 მამარდაშვილის ტექსტის მიხედვით, რა განსხვავებაა კლასიკურ დესპოტიზმსა და ტოტალიტარულ ფენომენს შორის. როგორია ტოტალიტარული სახელმწიფოს მოქალაქის აზროვნების წესი?
- (2) 30.5 ვის მიმართ იყენებს აკაკი ბაქრაძე ფრაზას: „იდეოლოგიური ნიღაბიც კი ჩამოიხსნეს“? ახსენით ამ ფრაზის შინაარსი.
- (2) 30.6 იმსჯელეთ ჯორჯ ორუელის რჩევებიდან, რომელი დაგეხმარებოდათ პროპაგანდასთან გასამკლავებლად. დაასახელეთ კიდევ ერთი მეთოდი აღნიშნული მიზნის მისაღწევად.
- (1) 30.7 არგუმენტირებულად განიხილეთ ისტორიული მაგალითი XX საუკუნიდან, როდესაც სახელმწიფო ატარებდა წყაროებში აღწერილ მართვის პოლიტიკას.

ერთიანი ეროვნული გამოცდები_ 2024 წელი

სამოქალაქო განათლების ტესტის შეფასების სქემა

დავალება №	სწორი პასუხი	მაქსიმალური შეფასება
1.	ა	1
2.	დ	1
3.	ბ	1
4.	ბ	1
5.	ა	1
6.	ა	1
7.	ა	1
8.	ბ	1
9.	ბ	1
10.	ბ	1
11.	ბ	1
12.	ბ	1
13.	ბ	1
14.	ბ	1
15.	ბ	1
16.	ა	1
17.	ბ	1
18.	ბ	1
19.	დ	1
20.	დ	1
21.	ბ	1
22.	ბ	1
23.	ბ	1
24.	დ	1

25.	<table border="1" data-bbox="578 121 1018 247"> <tr> <td>I.</td> <td>ა</td> <td>ბ</td> <td>გ</td> <td>დ</td> <td>ე</td> </tr> <tr> <td>II.</td> <td>4</td> <td>5</td> <td>2</td> <td>3</td> <td>1</td> </tr> </table> <p>5 სწორი პასუხი - 2 ქულა; 4 ან 3 სწორი პასუხი - 1 ქულა; 2 ან ნაკლები სწორი პასუხი - 0 ქულა.</p>	I.	ა	ბ	გ	დ	ე	II.	4	5	2	3	1	2																								
I.	ა	ბ	გ	დ	ე																																	
II.	4	5	2	3	1																																	
26.	<p>ყოველი მართებულად შესწორებული შეცდომა ფასდება 1 ქულით <u>ნიმუში:</u></p> <table border="1" data-bbox="371 525 1224 1339"> <thead> <tr> <th></th> <th>შეცდომა</th> <th>სწორი პასუხი</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>26.1</td> <td>გენოციდი</td> <td>მულტიკულტურალიზმი</td> </tr> <tr> <td>26.2</td> <td>სეგრეგაცია</td> <td>ასიმილაცია</td> </tr> <tr> <td>26.3</td> <td>დისკრიმინაცია</td> <td>ტოლერანტობა</td> </tr> <tr> <td>26.4</td> <td>ინდექსები</td> <td>კოდექსები</td> </tr> <tr> <td>26.5</td> <td>საზოგადოებრივი</td> <td>სამართლებრივი</td> </tr> <tr> <td>26.6</td> <td>პარლამენტს</td> <td>სასამართლოს</td> </tr> <tr> <td>26.7</td> <td>საინიციატივო</td> <td>აღმასრულებელი</td> </tr> <tr> <td>26.8</td> <td>პროკურატურა</td> <td>არბიტრაჟი</td> </tr> <tr> <td>26.9</td> <td>ათავისუფლებს</td> <td>შეზღუდოს</td> </tr> <tr> <td>26.10</td> <td>ბრიუსელის</td> <td>ჟენევის</td> </tr> <tr> <td>26.11</td> <td>ხუთი</td> <td>ოთხი</td> </tr> </tbody> </table> <p><u>შენიშვნა:</u> შეფასების დროს სწორ პასუხში 1 ქულა იწერება შეცდომათა მოცემული ნუმერაციის შესაბამისად, აპლიკანტის პასუხების ფურცელზე შეცდომათა თანმიმდევრობის მიუხედავად.</p>		შეცდომა	სწორი პასუხი	26.1	გენოციდი	მულტიკულტურალიზმი	26.2	სეგრეგაცია	ასიმილაცია	26.3	დისკრიმინაცია	ტოლერანტობა	26.4	ინდექსები	კოდექსები	26.5	საზოგადოებრივი	სამართლებრივი	26.6	პარლამენტს	სასამართლოს	26.7	საინიციატივო	აღმასრულებელი	26.8	პროკურატურა	არბიტრაჟი	26.9	ათავისუფლებს	შეზღუდოს	26.10	ბრიუსელის	ჟენევის	26.11	ხუთი	ოთხი	11
	შეცდომა	სწორი პასუხი																																				
26.1	გენოციდი	მულტიკულტურალიზმი																																				
26.2	სეგრეგაცია	ასიმილაცია																																				
26.3	დისკრიმინაცია	ტოლერანტობა																																				
26.4	ინდექსები	კოდექსები																																				
26.5	საზოგადოებრივი	სამართლებრივი																																				
26.6	პარლამენტს	სასამართლოს																																				
26.7	საინიციატივო	აღმასრულებელი																																				
26.8	პროკურატურა	არბიტრაჟი																																				
26.9	ათავისუფლებს	შეზღუდოს																																				
26.10	ბრიუსელის	ჟენევის																																				
26.11	ხუთი	ოთხი																																				
27.	<p>4 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული, ეფექტიანი მიდგომა, რომლითაც შესაძლებელია მიზნის მიღწევა. აზრი მკაფიოდ იკითხება, პასუხი სრულად აკმაყოფილებს დავალების ყველა პირობას.</p> <p>ამოცანები და მათი განხორციელების გზები პროექტის მოთხოვნების შესაბამისადაა ფორმულირებული, გამიჯნულია ერთმანეთისაგან, წერია მათთვის განკუთვნილ ველში, სტრუქტურულად გამართულია.</p>	4																																				

	<p>3 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული, ეფექტიანი მიდგომა, რომლითაც შესაძლებელია მიზნის მიღწევა. აზრი მკაფიოდ იკითხება, პასუხი აკმაყოფილებს დავალების ყველა პირობას. ამოცანები და მათი განხორციელების გზები პროექტის მოთხოვნების შესაბამისადაა ფორმულირებული, ჩანს პროექტის შედეგის საბაზისო უნარები, თუმცა სტრუქტურული თვალსაზრისით ხარვეზი აქვს; / ან</p> <p>პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ორი დამოუკიდებელი, განსხვავებული, ეფექტიანი მიდგომა, რომლითაც მაქსიმალურად მიიღწევა მიზანი. აზრი მკაფიოდ იკითხება, ამოცანები და მათი განხორციელების გზები პროექტის შესაბამისადაა ფორმულირებული, ჩანს პროექტის შედეგის საბაზისო უნარები. პასუხი არასრულია, დავალების ოთხი პირობიდან აკმაყოფილებს მხოლოდ სამს.</p> <p>2 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ეფექტიანი მიდგომა, რომლითაც მაქსიმალურად მიიღწევა მიზანი. აზრი მკაფიოდ იკითხება, ფორმულირებულია პროექტის მოთხოვნების შესაბამისად, პასუხი არასრულია, დავალების ოთხი პირობიდან აკმაყოფილებს მხოლოდ ორს.</p> <p>1 ქულა: პრობლემის გადასაჭრელად დასახულია ეფექტიანი მიდგომა, რომლითაც მაქსიმალურად მიიღწევა მიზანი. აზრი მკაფიოდ იკითხება, ფორმულირებულია პროექტის მოთხოვნების შესაბამისად, პასუხი არასრულია, დავალების ოთხი პირობიდან აკმაყოფილებს მხოლოდ ერთს.</p> <p>0 ქულა: დავალებაში მოცემული ამოცანები და განხორციელების გზები არ შეესაბამება მიზანს / არარეალისტურია / ზოგადია, არ იძლევა მისაღწევი შედეგის განსაზღვრის შესაძლებლობას / პასუხი არ არის მოცემული.</p>	
<p>28.</p>	<p>28.1 მაქსიმალური 1 ქულა</p> <p>1 ქულა: მოცემულია მართებული, ადეკვატური პასუხი;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული/ არასწორია/ არ შეესაბამება დავალების პირობას.</p> <p>28.2 მაქსიმალური 1 ქულა</p> <p>1 ქულა: მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ და ტერმინოლოგიურ შეცდომას და სრულად პასუხობს დავალების მოთხოვნას;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ შეესაბამება დავალების პირობას.</p> <p>28.3 მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>2 ქულა: მოცემულია მკაფიოდ ჩამოყალიბებული მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ და ტერმინოლოგიურ შეცდომას და სრულად პასუხობს დავალების მოთხოვნას;</p>	<p>4</p>

	<p>1 ქულა: მსჯელობა თანმიმდევრულია, არ შეიცავს ფაქტობრივ და ტერმინოლოგიურ შეცდომას, მაგრამ არასრულია;</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული/ არ შეესაბამება დავალების პირობას.</p>	
<p>29.</p>	<p>მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>A. თითოეული მტკიცებითი არგუმენტი -1 ქულა</p> <p>მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>B. თითოეული უარმყოფელი არგუმენტი - 1 ქულა</p> <p>სადისკუსიო თემის შესაბამისი კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, დასრულებული აზრის მქონე არგუმენტი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას ფასდება თითო ქულით;</p> <p>(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი).</p>	<p>4</p>
<p>30.</p>	<p>30.1 დ 30.2 დ</p> <p>30.3 მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>2 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს.</p> <p>1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს.</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.</p> <p>30.4 მაქსიმალური 2 ქულა</p> <p>2 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს.</p> <p>1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს.</p> <p>0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.</p>	<p>11</p>

30.5 მაქსიმალური 2 ქულა

2 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს.

1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს.

0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.

30.6 მაქსიმალური 2 ქულა

2 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, გამართული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა. სრულად პასუხობს დავალების პირობას, არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს.

1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს. პასუხი არასრულია, ორი პირობიდან მხოლოდ ერთს პასუხობს.

0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული / არასრულია / არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული / არ შეესაბამება დავალების პირობას.

30.7 მაქსიმალური 1 ქულა

1 ქულა: მოცემულია დავალების პირობის შესაბამისი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თანმიმდევრული, ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ ან ტერმინოლოგიურ შეცდომებს.

0 ქულა: პასუხი არ არის მოცემული/ არასრულია/ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული/ არ შეესაბამება დავალების პირობას.

შენიშვნა: ღია დავალებებში მოცემული მსჯელობა, რომელიც შეიცავს სიძულვილის ენას, დისკრიმინაციულ შეხედულებებს, არ შეფასდება.



დავალება 29.

A

I

II

B

I

II

დავალება 30.

ა ბ გ დ

30.1

30.2

30.3 _____

30.4 _____

30.5 _____

30.6 _____

30.7 _____
